ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №3

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65 15.03.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-**ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გია მატარაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-**ლუიზა ჯოგლიძე.**

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შეყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-**ირმა ცხვარაძე.**

სხდომა 15:00-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2022 წლის 15 მარტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ივანე მამფორია
თანამომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

2. „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა";

მომხს.: გიორგი ივანიაძე
თანამომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხს.: დავით გაბუნია
თანამომხსენებელი: ვლადიმერ ჭვალაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ";

მომხს.: მიხეილ სვანაძე
თანამომხსენებელი: რამაზ არველაძე

5. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე";

მომხს.: გელა ჩიკვაიძე

6. „ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ";

მომხს: გიორგი ივანიაძე

7. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ";

მომხს.: მიხეილ სვანაძე

8. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ";

მომხს.: ირმა ცხვარაძე

9. „ინფორმაცია სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2021 წელში განხორციელებული პროექტების და სხვადასხვა პროგრამების შესრულების შესახებ";

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

10. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

მომხს: ალექსანდრე ლილუაშვილი

11.სხვადასხვა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 15 მარტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-ივანე მამფორიამ ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N 277 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ბიუჯეტში ასახვის და ასევე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის N5 დადგენილების - ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის შესახებ საბიუჯეტო პროგრამაში (06 02 16 კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება) ასახვის საჭიროებით.

ა) შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 15329,1 ათასი ლარით, გადასახდელები 18307,9 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978.8 ათასი ლარით.

ბ) შემოსულობები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია 15329,1 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 580,0 ათას ლარს.

გ) გადასახდელები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 18307,9 ათასი ლარით, ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 580,0 ათას ლარს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 15 მარტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

/დანართი: N2/

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ"

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისებით მიზნით ფულადი ჯილდოს გაცემის წესის მიზანია სპორტის მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. აღნიშნული წესი ვრცელდება საქართველოს ან/და ვანის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე, ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტული წრეებში აღზრდილ და ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ წარმატებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე.

წესის მიხედვით წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური-კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, რომელიც მოხსენებითი ბარათით წარუდგენს მერს წინადადებას სპორტსმენსა და მწვრთნელზე ფულადი ჯილდოს გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ; ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას კი იღებს ვანის მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას). ფულადი ჯილდო გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. ჩვენ გვყავს წარმატებული სპორტსმენები, განსაკუთრებით სამბოში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, ამ წესის მიხედვით დაწესებული ფულადი ჯილდოს გაცემა უნდა მოხდეს ვანის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროგრამიდან „სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია"

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი 2022 წლის 15 მარტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

/დანართი: N3/

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-დავით გაბუნიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილება 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში, კერძოდ მოხდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში ცვლილება, ცვლილება განპირობებულია იმით, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს დაემატება ერთი შტატი, კერძოდ სოციალური მუშაკის შტატი, სადაც კონკურსის წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაინიშნება შესაბამისი კომპეტენციის პირი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 15 მარტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

/დანართი: N4/

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

აღნიშნული ცვლილება შეეხო შემდეგ მუხლებს:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამის" (დანართი N1) მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ გ) თუ ახალშობილის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 120 000-მდეა, ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული დახმარების ოდენობა გაიზრდება 20 (ოცი) %-ით."

2. დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის" (დანართი N2) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა ოჯახის არასრულწლოვანი შვილები, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ახალშობილის შემთხვევაში, დაბადებიდან დახმარების მოთხოვნამდე), უწყვეტად იყვნენ რეგისტრირებულნი და ფაქტიურად ცხოვრობდნენ ვანის მუნიციპალიტეტში."

აქამდე კი მშობლების რეგისტრაციის ადგილი ვანის მუნიციპალიტეტი უნდა ყოფილიყო, ცვლილების შემდეგ კი, ეს კრიტერიუმი სავალდებულოობას არ წარმოადგენს აღნიშნული პროგრამით სარგებლობისთვის.

3. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის" (დანართი N4) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა თუ ცვლილებამდე იყო 180 (ასოთხმოცი) დღე განახევრდა ეს ვადა და ცვლილების მიხედვით სავალდებულოა ბენეფიციარი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში და პროგრამით სარგებლობის მთელი პერიოდის მანძილზე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტიურად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში."

4. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის" (დანართი N4) მე-7 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ გ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სამედიცინო დაწესებულებიდან

გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100, საბანკო რეკვიზიტი და ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბოლო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ."

5. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის" (დანართი N4) მე-7 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მე-5 პუნქტის „ბ", „გ" და „დ" ქვეპუნქტებით დაავადებული ბავშვის მშობელმა (მეურვემ) უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, ცნობა ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №100, საბანკო რეკვიზიტი და ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბოლო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში ბენეფიციარის ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 15 მარტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

/დანართი: N5/

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯების ანაზღაურების თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „განკარგულების პროექტის თანახმად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2022 წლის თებერვლის თვის ხარჯები, (ჯამი - 6750 (ექვსიათასშვიდასორმოცდაათი) ლარი აუნაზღაურდეთ დანართი N1-ის შესაბამისად, საკრებულოს 10 წევრს ხარჯის ანაზღაურება კი მოხდება საკრებულოს სხდომის შემდეგ შესაბამისი განკარგულებით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ შეიმუშავა ვანის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მიზანს, ამოცანას, საქმიანობას, საქმიანობის ინდიკატორს. სამოქმედო გეგმის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს გენდერული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ამ მიმართულებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 15 მარტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

/დანართი: N6/

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-მიხეილ სვანაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2021 წელში განეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა აღნისნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დამტკიცებული იყო 14 სოციალური პროგრამა. ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 699000 ლარი. დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 44 ბრძანება.

საბიუჯეტო სახსრები, პროგრამების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 80200 ლარი;
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 28900 ლარი;
3. სამედიცინო დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 281800 ლარი;
4. შშმ პირთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 73900 ლარი;
5. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ბიუჯეტი - 43100 ლარი;
6. სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 39500 ლარი;
7. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 8000 ლარი;
8. ვეტერანთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 13000 ლარი;
9. მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 23000 ლარი;
10. სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 24000 ლარი;
11. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტი - 1000 ლარი; დაკმაყოფილებულია 2 ბენეფიციარი, თანხით 400 ლარი;
12. უსახლკაროთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებდა უსახლკარო პირის სტატუსი; მიენიჭა 6 პირს (4 ოჯახს). პროგრამის ბიუჯეტი - 4000 ლარი, გახარჯულია 3860 ლარი
13. სარიტუალო დახმარების პროგრამა, ბიუჯეტი - 17600 ლარი;
14. სხვა სოციალური ღონისძიებების ფარგლებში, კომუნალური გადასახადების თანადაფინანსების მიზნით, დაფინანსდა შშმ ბავშვთა დღის ცენტრი „ნათელი მომავალი" (9 ბენეფიციარი). ბიუჯეტი 5000 ლარი, გახარჯულია 5000 ლარი.

სულ საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 1590 ბენეფიციარს, თანხით 680525.09 ლარი

/დანართი: N7/

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-ირმა ცხვარაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშის 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა პანდემიის პირობებში მოკრძალებულად და რიგი შეზღუდვების გათვალისწინებით დაგეგმა და განახორციელა სპორტული და კულტურული ღონისძიებები შეძლებისამებ.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ანგარიში.

/დანართი: N8/

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-გელა ჩიტორელიძემ (მამუკა ნამიჭეიშვილის არყოფნის გამო) წარმოადგინა ინფორმაცია სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2021 წელში განხორციელებული პროექტების და სხვადასხვა პროგრამების შესრულების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წლის განმავლობაში 2021-2022 წლების გარდამავალი პროექტების ჩათვლით ინფრასტრუქტურის მოვლა-განახლებისათვის სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულია 148 პროექტი საერთო ღირებულებით 17 193 389 ლარი. პროექტები დაფინანსების და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდა 8 პროგრამად. (პროგრამების ჩამონათვალი ოქმს თან ერთვის)

ხოლო რაც შეეხება 2022 წლის პროექტებს, ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წლისთვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 9 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისთვის გამოიყო 2 889 190 ლარი, აქედან გარდამავალი პროექტის სახით 2021 წლიდან გადმოსული 3 პროექტი დაფინანსდა 187 813 ლარით. ამ პროექტებზე სამუშაოები განახლდა და მიმდინარეობს. 6 ახალი პროექტი დაფინანსდა 2 701 377 ლარით. ამ პროექტებზე გამოცხადებული ტენდერები დასრულებულია და მიმდინარეობს „შერჩევა/შეფასების" პროცესი.

2021 წლიდან გადმოვიდა გარდამავალი პროექტები-საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებულია 11 პროექტი. გამოყოფილი იყო 5 036 235 ლარი. სახელშეკრულებო ღირებულებაა 4 898 797 ლარი. სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოიყო 580 000 ლარი. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები სოფლებში შეხვედრების ჩატარები მიზნით, სადაც დამსწრეთა მიერ შეირჩევა განსახორციელებელი პროექტები.

„განახლებული რეგიონები“-ს პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს თამარ მეფის და თავისუფლების ქუჩების სრული რეაბილიტაცია, პროექტი გარდამავალია და გაგრძლდება მომავალ წლებში, რომელიც შემდგომ ეტაპებზე მოიცავს ქალაქის სხვა ქუჩებს.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ანგარიში.

/დანართი: N9/

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2022 წლის 9 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დრის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა დამტკიცეს 16 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

/დანართი: N10/

„სხვადასხვა“-ში საკითხები არ განხილულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე